



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი“**



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 49

რუსთავი

16.07.2020წ.

"საგაზაფხულო არდადეგების გამოცხადების შესახებ" სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის #35 ბრძანებაში ცვლილების და დამატებები შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე და 63-ე მუხლების საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/წ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის და კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის ღონისძიებებიდან გამომდინარე და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის 2020 წლის 5 ივლისის #562251 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის #35 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **"არდადეგების გამოცხადების შესახებ"**;
2. ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - "1. გამოცხადდეს საგაზაფხულო არდადეგები პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის 2020 წლის 02 მარტიდან 2020 წლის 4 სექტემბრის ჩათვლით;"
 - "2. საგაკვეთილო პროცესი განახლდეს 2020 წლის 7 სექტემბრიდან;"
 - "3. დაევალოს სასწავლო პროცესის მენეჯერს კორექტირებული საგაკვეთილო ცხრილის წარმოდგენა 2020 წლის 28 აგვისტომდე;"
3. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი: **"2¹. პროფესიული პროგრამის "ზეინკალ-სანტექნიკოსის" N18.01.06, თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟის 18.01.05 და მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის "ელექტროობა"-ს ჯგუფებისთვის სასწავლო პროცესი დაიწყოს 2020 წლის 13 ივლისიდან;"**
4. ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი: **"3¹. დაევალოს სასწავლო პროცესის მენეჯერს არაუგვიანეს 2020 წლის 15 ივლისისა წარმოადგინოს კორექტირებული საგაკვეთილო ცხრილი მოკლევადიანი ტრენინგ-კურსისთვის "ელექტროობა";"**
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

6. დაევალოს IT სპეციალისტს დავით მარანელს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით;

7. დაევალოს ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაკანაძეს ბრძანება შესასრულებლად გადაუგზავნოს დავით მარანელს;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი ბოსტანქალაქის ქ. #6)

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი

